საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2016 წლის 18 ნოემბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №04-01/18

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების და მუსიკის ფაკულტეტებზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმა-ღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის; 34-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 44-ე მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დარჩენილი ვადით გამოცხადდეს კონკურსი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის სახვითი ხელოვნების დეპარტამენტში არქიტექტურის მიმართულებით ასოცირებული პროფე-სორის და მუსიკის ფაკულტეტის კლავიშიანი საკრავების დეპარტამენტში პრო-ფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე.
2. კონკურსი ჩატარდეს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად (დანართი 1).
3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საბუთების მიღება იწარმოებს 2017 წლის 09 იანვრიდან 17 იანვრის ჩათვლით 10 საათიდან 16 საათამდე;

ბ) კონკურსი ჩატარდეს 2017 წლის 20 იანვარს, ხოლო საბოლოო შედეგები გამოქვეყნ-დეს არაუგვიანეს 2017 წლის 30 იანვრისა;

დ) კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2017 წლის 01 თებერვლიდან.

4. დამტკიცებული იქნეს კონკურსანტის განცხადების (დანართი № 2), ანკეტის (დანართი№ 3), საჩივრის (დანართი№ 4), განცხადებისა და საჩივრის მიღების შესახებ ცნობების (დანართები№ 5, № 6), განცხადებებისა და საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალების (დანართები№ 7, № 8) ფორმები.
5. ინფორმაცია (დანართი№9) კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს პრესაში (გაზეთ „24 საათი"); უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე და საიფორმაციო დაფაზე.
6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია